სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორის სამსახურში მისაღებად კონკურსის გამოცხადების შესახებ
რექტორის 2024 წლის 28 ივნისის №171/01-01 ბრძანების უზრუნველყოფისთვის, თსუ რექტორის და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის 2024 წლის 17 ივნისის N17/04 ერთობლივი ბრძანების და სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის სალომე დუნდუას 2024 წლის 5 ივნისის N 14735/30 წერილის საფუძველზე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2024 წლის 16 ივლისის #79/2024 დადგენილებით აკადემიური პერსონალის სამსახურში მისაღებად დამტკიცებული შესარჩევი საკონკურსო კომისიის სხდომის

შ ე მ ა ჯ ა მ ე ბ ე ლ ი ო ქ მ ი
(დაკორექტირებული)

ქ. თბილისი 03 სექტემბერი, 2024

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: პროფესორი ამირან ბერძენიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი (კომისიის თავმჯდომარის მოადგილე), ასოც. პროფესორი ლაშა მათიაშვილი (კომისიის მდივანი), ასოც. პროფესორი ანა დიაკონიძე, ასოც. პროფესორი თეონა მატარაძე, ასოც. პროფესორი ნინო შატბერაშვილი და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ემზარ ჯგერენაია.

დღის წესრიგი:

1. კონკურსის შედეგების შეჯამება (გასაუბრების და კენჭისყრის შედეგების შეჯამება);
2. კონკურსის შედეგების ამსახველი შემაჯამებელი ოქმის თსუ-ის აკადემიური საბჭოსთვის დასამტკიცებლად გადაცემა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის პირველი (დოკუმენტების შესწავლა) და მეორე სხდომის (გასაუბრება, ლექცია და კენჭისყრა) შედეგები.

სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის 2 აკადემიურ თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობდა 2 კანდიდატი - ლია წულაძე და ნინო დურგლიშვილი. გამოცხადებულ კონკურსში კანდიდატებს წესრიგში ჰქონდათ საკონკურსოდ წარდგენილი დოკუმენტაცია.

გასაუბრებაზე ლია წულაძემ მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვით ჩაატარა ლექცია კომისიის მიერ შერჩეულ თემაზე („სუბკულტურის სოციოლოგია“) და უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

კომისიის წევრებისთვის ნათელი გახდა, რომ ლია წულაძის კვლევითი გამოცდილება და კვალიფიკაცია შეესაბამება თანამედროვე დასავლურ (ევროპულ და ამერიკულ) სამეცნიერო დონეს და მას შეთვისებული აქვს დასავლურ სამეცნიერო ნაკადში გაჩენილი უახლესი ცოდნა და კვლევითი მიღწევები. პრინციპში ეს ასახულია კიდეც ლია წულაძის სამეცნიერო მიღწევებში, იქნება ეს მისი საერთაშორისო პუბლიკაციები, განხორციელებული საერთაშორისო პროექტები თუ მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში. ლია წულაძის ხელმძღვანელობით და მონაწილეობით განხორციელდა ფონდ „ჰორიზონტის“ საერთაშორისო მრავალწლიანი პროექტები, რომლებიც ევროპეიზაციის პარადიგმის პროცესის კვლევას ეხება ევროკავშირის არაწევრ ქვეყნებში (მათ შორის, საქართველოში). ამ საკითხს ეძღვნება ლია წულაძის საერთაშორისო პუბლიკაციები („Georgia's Europeanization: Performative Games and Peculiarities of Enforced Socialization", “Georgia’s Contested European Trajectory“ და სხვ.), რომლებიც გამოქვეყნებულია მაღალრეიტინგულ საერთაშორისო გამოცემებში. აქვე, აღსანიშნავია ლია წულაძის სამეცნიერო შრომების ციტირების მაღალი ინდექსი (187, მათ შორის h-index – 7 და i10-index 5). საკუთარი კვლევითი მიღწევები ლიკა წულაძეს წარმოდგენილი აქვს, აგრეთვე, საერთაშორისო კონფერენციებზე. ხაზგასასმელია ისიც, რომ ეს მიღწევები გამოყენებულია სასწავლო კურსებში და ჩართულია სასწვლო პროცესში (კერძოდ, კულტურის სოციოლოგიის და სუბკულტურის სოციოლოგიის კურსებში).

ლია წულაძის დოკუმენტაციის შესწავლისას საკონკურსო კომისია შეთანხმდა, რომ კანდიდატის სამეცნიერო-კვლევითი პროფილი და სალექციო პროცესის წარმართვის გამოცდილება სრულად შეესაბამება საერთაშორისო აკადემიურ სტანდარტს. აგრეთვე, აღსანიშნავია კანდიტატის პუბლიკაციები, საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო პროექტებში მონაწილება. ეს ყველაფერი კომისიის წევრთა გადაწყვეტილებაში აისახა.

მეორე კანდიდატმა, ნინი დურგლიშვილმა, გასაუბრებაზე მიმოიხილა კომისიის მიერ შერჩეული თემა - „ფაქტორული ანალიზი“. მან დეტალურად და

კომპლექსურად, მაღალი აკადემიური სტანდარტის დაცვით ისაუბრა მულტივარიაციული ანალიზის ამ კომპლექსური მეთოდის შესახებ. კონსკურსატმა დასაბუთებულად უპასუხა საკონკურსო კომისიის წევრების შეკითხვებს. კერძოდ, შეკითხვები შეეხებოდა ფაქტორული ანალიზის გამოყენების სპეციფიკას მრავალცვლადიან ანალიზში, ამ მეთოდის შესაძლებლობებს და შეზღუდვებს. კომისიისთვის ნათელი გახდა, რომ ნინო დურგლიშვილის კვალიფიკაცია ემპირიული კვლევის მეთოდების იმ კომპლექსურ ნაწილში, რასაც მონაცემთა მულტივარიაციულ ანალიზს წარმოადგენს, ძალზე მაღალია და კონკურსანტი გაცნობილია თანამედროვე საერთაშორისო დებატებს აღნიშნულ საკითხებზე. აღსანიშნავია, რომ ნინო დურლიშვილის სასწავლო დატვირთვა ძირითადად სწორედ მონაცემთა ანალიზის მეთოდებს მოიცავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან კვალიფიციური და განახლებადი ცოდნის მათთვის გადაცემით.

ნინო დურგლიშვილის მაღალ კვალიფიკაციაზე მეტყველებს მისი სამეცნიერო შრომების ციტირების მაღალი ინდექსი (191, მათ შორის h-index – 6 და i10-index 5). უნდა ითქვას, რომ მისი სამეცნიერო სტატიების უმრავლესობა სწორედ ემპირიული კვლევის მონაცემების მრავალცვლადიანი ანალიზის საფუძველზეა დაწერილი. კომპეტენციას ადასტურებს ისიც, რომ ბოლო წლებში გამოქვეყნებული სტატიები იძებნება ისეთ ჟურნალებში, რომლებიც ინდექსირებულია როგორც Web of Science, ისე Scopus-ის ბაზებში.

ნინო დურგლიშვილის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე, რომელშიც აღსანიშნავია სამეცნიერო პროდუქტიულობა, კერძოდ პუბლიკაციები და კვლევითი აქტივობები, აგრეთვე მისი სასწავლო პროცესის წარმართვის გამოცდილება, კომისიის წევრებმა მიიღეს დასაბუთებული გადაწყვეტილება.

ჩატარდა ფარული კენჭისყრა. კენჭისყრაში მონაწილეობდა კომისიის 7 წევრი.

ფარული კენჭისყრის შედეგები:
ლია წულაძე - მომხრე - 7, მოწინააღმდეგე - 0.
ნინო დურგლიშვილი - მომხრე - 7, მოწინააღმდეგე - 0.

დაადგინეს: სოციოლოგიის მიმართულების ასოცირებული პროფესორის 2 აკადემიურ თანამდებობაზე ფარული კენჭისყრით არჩეულ იქნენ ლია წულაძე და ნინო დურგლიშვილი

შემაჯამებელი ოქმი გადაეცეს თსუ-ის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.

პროფესორი ამირან ბერძენიშვილი
(კომისიის თავმჯდომარე)

პროფესორი იაგო კაჭკაჭიშვილი
(კომისიის თავმჯდომარის მოადგილე)

ასოც. პროფესორი ნინო შატბერაშვილი
(კომისიის წევრი)

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ემზარ ჯგერენაია
(კომისიის წევრი)

ასოც. პროფესორი ლაშა მათიაშვილი
(კომისიის მდივანი)

ასოც. პროფესორი ანა დიაკონიძე
(კომისიის წევრი)

ასოც. პროფესორი თეონა მატარაძე
(კომისიის წევრი)